ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1155926

ნომერი: AR1196080

თარიღი : 10.02.2014

გაცემის თარიღი : 10.03.2014

გაცნობის თარიღი : 12.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვეთი 03/106 / ქალაქი თბილისი , შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ, (ნაკვეთი 03/077) / ქალაქი თბილისი , ოქროყანა , ნაკვეთი 03/027 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალი გაჯიევი პ/ნ 01020009037
- თბილისი დ.ჟღენტის ქ. N 130

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ– ქ. თბილისის არქიტექტურისსამსახურის 22.08.2012წ. #319422 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 02/10/2014წ. #AR1196080 განცხადებით მომართეს სს „სისთემ ინშაათ-ის წარმომადგენლობა საქართველოში სისთემ ინშაათ-ჯორჯიას“ წარმომადგენელმა ალი გაჯიევმა და შპს „Golden Bridge Financial LTD“–ის დირექტორის, გია თექთუმანიძის წარმომადგენელმა დავით გურგენიძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს სამსახურის 22.08.2012წ. #319422 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 22.08.2012წ. #319422 ბრძანებით ქ. თბილისში, შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ (ნაკვ. #03/077)–ში, შ.პ.ს. "Golden Bridge Financial LTD"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 23 აგვისტოდან 2014 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.
ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2012წ. #319422 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შ.პ.ს. "Golden Bridge Financial LTD". საჯარო რეესტრის ამონაწერის (მომზ. თარიღი: 05/11/2013; განცხადების რეგისტრაციის #882013536331) თანახმად, შეცვლილია მესაკუთრე და მას წარმოადგენს სს „სისთემ ინშაათ-ის წარმომადგენლობა საქართველოში სისთემ ინშაათ-ჯორჯია“.
განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2012წ. #319422 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან მას აღარ აქვს ინტერესი აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები აღნიშნული ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად. ამასთან, განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის საფუძველზემიწის ნაკვეთზე არ არისნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისუფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადებისსაფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლში მითითებული საფუძვლების გარდა შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან დამკვეთს აღარ გააჩნია სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალურიადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებისინტერესი და ამასთან, მიწის ნაკვეთზე არ არის ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა ძალადაკარგულად გამოაცხადოს 22.08.2012წ. #319422 ბრძანება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, "ლიცენზიებისადა ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულადგამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2012წ. #319422 ბრძანება.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.